Aqua HydroEnergy

შპს. აკვაჰიდროენერჯი
AQUAHYDROENERGY LTD

30/10/2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „აკვაჰიდროენერჯი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 443860261) ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდ. ლაჯანურის ხეობაში დაგეგმილი აქვს ჰესების კასკადის („ლაჯანური 1 ჰესი", „ლაჯანური 2 ჰესი" და „ლაჯანური 3 ჰესი") მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება. პროექტზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #66 (25.09.2017).
პროექტის ოპტიმიზაციის პროცესში საპროექტო ორგანიზაციის მხრიდან შემოთავაზებული იქნა ჰესების კასკადის ერთ-ერთი საფეხურის, კერძოდ „ლაჯანური 3 ჰესი"-ს კომუნიკაციების განსხვავებული სქემატური განლაგება. ძირითადი კომუნიკაციების (სათავე ნაგებობა, ჰესის შენობა, მილსადენი) განლაგების მოდიფიკაციამ გამოიწვია ჰესის ძირითადი ენერგეტიკული პარამეტრების ცვლილება.

პროექტში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.
წერილს დანართის სახით თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის, მათ შორის პროექტში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა საპროექტო ცვლილებები გზშ-ს. წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს საპროექტო ცვლილებების შედეგად გარემოზე დამატებით მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობის პარალელურად გაგრძელდება 2017 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული პირობების შესრულება.

პატივისცემით,

მამუკა პაპუაშვილი

შპს „აკვაჰიდროენერჯი"-ს დირექტორი

№ 15536
30" 10 2019
1/СЪ ფ.

შპს. აკვაჰიდროენერჯი
AQUAHYDROENERGY LTD
T/ტ: 577 44 88 22
E-mail/ ელ. ფოსტა: m.papuashvili@geoaquaenergy.com